

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**საია შეთავაზებული შრომითი
ხელშეკრულების უკანონო პირობების
გამო ტელე კომპანია „დია“-ს ათი
თანამშრომლის სამსახურიდან
ნამოსვლის ფაქტს ეხმაურება**

გავრცელებული ინფორმაციით რეგიონული ტელევიზია **ქიმი** ათმა თანამშრომელმა (ჟურნალისტები, ოპერატორები, ტექნიკური პერსონალი) დატოვა სამსახური ტელევიზიის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ხელმძღვანელის მიერ შეთავაზებული შრომითი ხელშეკრულების პირობებზე შეუთანხმებლობის გამო.

ტელეკომპანია **DP** ყოფილმა თანამშრომლებმა დახმარებისთვის საიას მიმართეს. ტელეკომპანიის მიერ თანამშრომლებისთვის შეთავაზებული კონტრაქტის შინაარსის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ის შეიცავს შრომის პირობებს, რომლებიც რიგ შემთხვევებში შრომის კოდექსთან წინააღმდეგობაშია და დასაქმებულს დამსაქმებელთან არათანაბარ პირობებში აყენებს. მათ შორის, ხელშეკრულება არ ადგენს დამსაქმებლის უფლებებს, ითვალისწინებს დასაქმებულის ვალდებულებას შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო სათანადო ანაზღაურების გარეშე, ტელეკომპანიიდან თანამშრომლის წასვლიდან 3 წლის განმავლობაში კრძალავს კონკურენტ ორგანიზაციაში მუშაობას და სხვა.

როგორც ტელეკომპანიის დირექტორმა, მაია ტატულაშვილმა საინფორმაციო პორტალს **DP** განუმარტა, წარმოდგენილი ხელშეკრულება იყო სამუშაო ვერსია, რომელიც უნდა დახვეწილიყო. თუმცა, ტელეკომპანიის ყოფილი თანამშრომლები, 2014 წლის 22 სექტემბერს ჩატარებულ პრესკონფერენციაზე მიუთითებენ, რომ ტელეკომპანიამ უარი განაცხადა შეთავაზებული ხელშეკრულების პირობების რაიმე ცვლილებაზე. ჟურნალისტები ასევე მიუთითებენ ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის ფაქტებზეც.

შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. ასევე, **DP** შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლი ითვალისწინებს დამოუკიდებელი მაუწყებლობის უზრუნველყოფას. ამ კანონის საფუძველზე მიღებული **DP** ქვევის კოდექსით დადგენილია მაუწყებლობის ძირითადი პრინციპები, მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობის პრინციპი, რომელიც მათ შორის, გულისხმობს მაუწყებლის ვალდებულებას უზრუნველყოს ჟურნალისტის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება და უფლება, საკუთარი სინდისისა და დამკვიდრებული პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები.

მაუწყებლობის განხორციელების ძირითადი საკანონმდებლო და საერთაშორისო პრინციპებიდან გამომდინარე, როგორც საზოგადოებრივი ისე კერძო მაუწყებლობა უნდა ემსახუროდეს საზოგადოებრივ ინტერესებს. ამისათვის აუცილებელია შესაბამის სამაუწყებლო კომპანიაში დასაქმებული ჟურნალისტები და ჟურნალისტთან გათანაბრებული სხვა თანამშრომლები სარგებლობდნენ შრომის კანონიერი პირობებით და სათანადო სარედაქციო დამოუკიდებლობით.

მოვუწოდებთ ტელეკომპანია **DP** ხელმძღვანელებს ტელეკომპანიის თანამშრომლებთან შრომით ურთიერთობებში იხელმძღვანელონ საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებით და საზოგადოების ინტერესების შესაბამისი მაუწყებლობის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სავალდებულო პრინციპებით.